

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანგებო დაშორებულ სწავლებაზე
გადასვლის პროცესის შეფასება

მარიამ ხოჭოლავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხოჭოლავა

01/07/2020

აბსტრაქტი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ცვლილებები და რეგულაციები შეეხოთითქმის ყველა სფეროს: დასაქმებულთა უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, აიკრძალა ფრენები, ქვეყნებმა გამოაცხადეს საგანგებო მდგომარეობა, გაიცა ფიზიკური დისტანცირების რეკომენდაციები და ხშირ შემთხვევაში ვალდებულებები, დაიხურა ბალები, სკოლებმა და უნივერსიტეტებმა ფუნქციონირება ონლაინ რეჟიმში გააგრძელეს. ახალ რეალობაში ფუნქციონირების გასაგრძელებლად, საქართველოს მთავრობამ გასცა შესაბამისი რეკომენდაციები და შეიმუშავა რეგულაციები. განათლების სფეროსთვის განკუთვნილი რეგულაციების მიხედვით უმაღლესი განათლების დაწესებულებებს აკრძალათ ფიზიკური სწავლების განხორციელება და მოეთხოვათ გადასულიყვნენ საგანგებო დაშორებული სწავლების¹ რეჟიმზე. საგანგებო დაშორებული სწავლება (ERT), როგორც ამას Charles Hodges, Stephanie Moore, Barb Lockee, Torrey Trust და Aaron Bond განსაზღვრავენ, არის დროებითი გადასვლა სწავლების ალტერნატიული მიწოდების რეჟიმზე კრიზისული გარემოებების გამო.

დაშორებული საგანგებო სწავლების რეჟიმზე გადასვლა ყველა სასწავლო დაწესებულებაში სხვადასხვაგვარად განხორციელდა. მოცემული ნაშრომის მიზანია გაანალიზოს და შეაფასოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაშორებულ საგანგებო სწავლებაზე გადასვლის პროცესი. კონკრეტულად კი, გამოიკვლიოს ილიაუნის მზაობა დაშორებულ სწავლებაზე გადასვლისთვის, ტრანზიციისას გაწეული ძალისხმევა,

¹ საგანგებო დაშორებული სწავლება (ERT) არის დროებითი გადასვლა სწავლების ალტერნატიული მიწოდების რეჟიმზე კრიზისული გარემოებების გამო. (Charles Hodges, Stephanie Moore, Barb Lockee, Torrey Trust and Aaron Bond, 2020)

უშუალოდ საგანგებო დაშორებული სწავლების პროცესი, პროცესში გამოყენებულ ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ლექტორების ტექნოლოგიური და კონცეპტუალური მზაობა და სტუდენტების კმაყოფილება.

რთულია შეირჩეს საგანგებო დაშორებული სწავლების შეფასების კრიტერიუმები, რადგან საგანგებო და კრიზისულ მდგომარეობაში სასწავლო პროცესის ნებისმიერი სახით გაგრძელება შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ საქმიანობად. სწორედ ამიტომ, ნაშრომი არ აფასებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანზიციის პროცესს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, არამედ ახდენს აღნიშნული პროცესის ანალიზს შემდეგი მიმართულებებით: კონტექსტის ანალიზი, საჭიროებების მოკვლევა, უნივერსიტეტის მიერ გაწეული ძალისხმევის ანალიზი, პროცესის ანალიზი, დაბრკოლებების იდენიფიცირება, სტუდენტების კმაყოფილების შესწავლა და მოგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, კვლევისთვის მიზნობრივად შეირჩა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხივე ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანგებო დაშორებულ სწავლებაზე გადასვლის პროცესში. ფაკულტეტების წარმომადგენლებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, ასავე გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მმართველი რგოლის თანამშრომელი და მოხდა სტუდენტების გამოკითხვა ელექტრონული კითხვარის გამოყენებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნდა საჭირო ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რათა მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე გადასულიყო საგანგებო დაშორებული სწავლების ფორმატზე. მიდგომა, რომელიც ილიაუნიმ აირჩია ტრანზიციისთვის იყო საკმაოდ მოსახერხებელი და საშუალებას იძლეოდა საჭიროებისამებრ მომხდარიყო ცვლილებების შეტანა სასწავლო ინსტრუმენტებში: სილაბუსში, შეფასების სისტემაში და ა.შ. კვლევის პროცესში ასევე

გამოვლინდა კონკრეტული ხარვეზები და დაბრკოლებები, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობს და აღნიშნულ ხარვეზებზე დაყრდნობით გაიცა რეკომენდაციები.

საძიებო სიტყვები: საგანგებო დაშორებული სწავლება, ონლაინ სწავლება, დისტანციური სწავლება.

Abstract

The pandemic caused by the spread of the Novel Coronavirus (COVID-19) has posed new challenges around the world. Changes and regulations have affected almost all areas: most of the employees have switched to remote operation mode, flights have been banned, countries have declared a state of emergency, physical distance recommendations have been issued and in many cases have become mandatory, kindergartens have closed, schools and universities have resumed teaching online. In order to continue functioning in the new reality, the Government of Georgia has issued relevant recommendations and developed regulations. According to the regulations developed in the field of education, higher education institutions were prohibited to conduct physical education and were required to switch to Emergency Remote Teaching² mode (ERT). Emergency Remote Teaching, as defined by Charles Hodges, Stephanie Moore, Barb Lockee, Torrey Trust and Aaron Bond, is a temporary shift of instructional delivery to an alternate delivery mode due to crisis circumstances.

The transition to remote teaching mode was implemented differently in all educational institutions. The aim of the following paper is to analyse and assess the process of transition of Ilia State University to Emergency Remote Teaching. Specifically, to examine Iliauni's readiness to move to remote teaching, university's input for this transition, process of Emergency Remote Teaching, technological support used in the process, technological and conceptual readiness of lecturers, and student satisfaction.

It is difficult to select criteria for assessing Emergency Remote Teaching, as continuing any form of learning process in an emergency or crisis situation can be considered as a successful activity.

² Emergency Remote Teaching (ERT) is a temporary shift of instructional delivery to an alternate delivery mode due to crisis circumstances (Charles Hodges, Stephanie Moore, Barb Lockee, Torrey Trust and Aaron Bond, 2020)

That is why the paper does not evaluate the process against specific criteria, but rather offers the analyses in the following direction: context analyses, needs assessment, input analyses, process analyses, identification of existing challenges and barriers, student satisfaction and based on the collected information offers relevant recommendations.

The study was conducted using qualitative method, the research targeted the representatives of all four faculties of Ilia State University, who were directly involved in the process of transitioning to Emergency Remote Teaching. In-depth interviews were conducted with the faculty representatives, as well as with the representatives of the Quality Assurance and Information Technology offices, and with the representative of the Ilia State University governing Body, Iliauni students were also surveyed using an electronic questionnaire.

The results of the study showed that Ilia State University had the necessary technological support to move to the format of remote teaching without significant shortcomings. The methods that Iliauni chose for transitioning was quite convenient and allowed changes to be made in teaching process: in the syllabus, in the assessment system, and so on. The study also identified specific shortcomings and barriers that exist at the university and made relevant recommendations based on these shortcomings.

Keywords: Emergency Remote Learning, Distance Learning, Online Learning.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს.

ასევე მადლობას ვუხდის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევაში და დამითმეს დრო ინტერვიუებისათვის, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ონლაინ გამოკითხვაში.

მადლობა ჩემს მეგობრებს უწყვეტი მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით ნათიას და დათას, რომლებიც მუდმივად მზად იყვნენ გვერდში დგომისთვის.